

## არქიტექტურა სოცრეალიზმის პოსმოლობიურ მოდელზე

სოცრეალიზმის იდეოლოგია, ხელოვნება, მხატვრული ხერხები დასაბამიდანვე მითოლოგითაა განმსჭვალული.<sup>1</sup> მითოლოგია განსაზღვრავს სოცრეალიზმის არა მხოლოდ სტილისტურ განზომილებას, არამედ გლობალური კულტურული ტექსტის მიკრო და მაკრო სტრუქტურას. როგორც არქაული საზოგადოებებისა და მითოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი ვ. ტოპოროვი აღნიშნავს, მითოლოგიური ცნობიერებისათვის სამყაროში ყველაფერი „კოსმოლოგიზმულია“ და უმაღლესი დირებულებაც სწორედ კოსმოსს გააჩნია. მნიშვნელოვანი და რეალურია მხოლოდ ის, რაც საკრალურობითაა აღბეჭდილი, საკრალიზებულია. ხოლო საკრალიზებულია ის, რაც კოსმოსის შემადგენლობაში შედის, უკავშირდება კოსმოსს და მის ნაწილს წარმოადგენს<sup>2</sup>. ამ მოდელის თანახმად, სივრცე სოცრეალიზმის კულტურის საზრისმაწარმოებელ კატეგორიად გვევლინება, <sup>3</sup> საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოცრეალიზმის ხელოვნების ცენტრალური დარგი, უპირველეს ყოვლისა, არის არქიტექტურა – მატერიალურ-სივრცებრივი არქიტექტონიკა და არა კინო ან ლიტერატურა, როგორც ამას ტრადიციულად მიიჩნევენ ხოლმე.<sup>4</sup>

სტალინური კულტურის მითოლოგიურობა განაპირობებს არა მარტო ხელოვნების დარგებს შორის არქიტექტურის დაწინაურებას, არამედ სოცრეალიზმის კოსმოლოგიური წარმოდგენების მიხედვით არქიტექტურის მოდელირებასაც, ანუ მის კოსმოლოგიზაციას. ამასთან ერთად, სოცრეალიზმის არქიტექტურა მაგიურ-რიტუალური ობიექტივით ფუნქციონირებს. მისი დანიშნულება და მიზნები კი, როგორც ესთეტიკის, ისე უტილიტარულობის სფეროს მიღმაა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი არქიტექტურული ორგანიზმი სოცრეალიზმის კულტურაში ფუნქციონირებს როგორც უტილიტარული ობიექტიც, რამდენადაც იგი ადამიანების ყოველდღიური მოთხოვნილების დაქმაყოფილების ემსახურება. მაგრამ არქიტექტურის უტილიტარული ასპექტი არ შედის სოცრეალიზმის ადამიანის უმაღლესი დირებულებების სისტემაში, არარელევანტურია უმაღლესი დირებულებების თვალსაზრისით,

სრულიად "პროფანული" და უმნიშვნელოა. არქიტექტურული არტეფაქტის დირებულება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად საკრალიზებულია იგი, რამდენად შეესაბამება და აღწერს სოცრეალიზმის კოსმოლოგიურ სქემებს.

ამ აზრით სოცრეალიზმის მოელი არქიტექტურა 1918 წლის პირველი მაისის აღსანიშნავად წითელ მოედანზე (სენატის კოშკთან) აგებული ტრიბუნიდან გამომდინარეობს<sup>5</sup>. ნაგებობა აღექსანდრე და ვიქტორ ვესნინების პროექტის მიხედვით აშენდა. ეს გახდდათ წითელნაჭერგადაქრული, სხვადასხვა სიმაღლისა და ფართობის, ერთმანეთზე საფეხურებრივად განლაგებული ხის სამი პარალელების ერთგვარი ზიქურატი. ვერტიკალურ-იურარქიული სტრუქტურა და აშკარად საკრალური ბუნება (ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი "სამყაროს ცენტრის" - კრემლის ინტეგრალური ნაწილია და მეორე იმიტომ, რომ "საბჭოთა პანთეონის უზენაესი დგათავების"<sup>6</sup> - კ. ლენინის საბრძანებელს წარმოადგენს) ვესნინების ზიქურატს იმ ნაგებობათა გვერდით აყენებს, რომლებიც "კოსმოსური მთის" ყველაზე გავრცელებულ არქიტექტურულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. მ. ელიადე აღნიშნავს, რომ ზიკურატი სამყაროს მსგავსადაა მოწყობილი. მისი იარუსები კოსმოსის ვერტიკალურ სტრუქტურას - მიწისქვეშეთს, მიწასა და ზეცას - განასახიერებს. ზიკურატი იგივე სამყაროა, რადგან იგი "კოსმოსური მთის" სიმბოლოს წარმოადგენს. ხოლო "კოსმოსური მთა" სხვა არაფერია, თუ არა სტულურფილი სამყაროს ხატი (imago mundi)<sup>7</sup>.

ვესნინების ზიკურატი დასაბამს აძლევს სოცრეალიზმის ვერტიკალურ-საფეხურებრივი სტრუქტურის მქონე შენობათა მრავალრიცხვან კორპუსს: უპირველეს ყოვლისა ლენინის მავზოლეუმს (პირველი და მეორე ვარიანტი 1924 წ. მესამე - 1929-1930 წ.წ. (არქ. ა. შჩუსევი) - ნიშანდობლივია, რომ იგი სწორედ ზიკურატის ადგილზეა აგებული), "საბჭოების სასახლეს", შენობებს ლუსინსკის ქუჩაზე (ორივე განუხორციელებელი), რიგის, ვარშავის, პრაღის, ბუქარესტის და მოსკოვის შვიდ მაღლივ შენობას, საკავშირო სასოფ-

ლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონებს ("მოსკოვი", "უკრაინა", "მექანიზაცია", "ხორბალი", და ა.შ.), მეშახტეთა სასახლესა და ცენტრალური სადგურის შენობებს თბილისში და ასეულობით სხვა შენობას სოციალისტური ოკუმენის მთელ ტერიტორიაზე, რომლებიც ასევე "კოსმოსური მთის" არქიტექტურულ ანალოგებს წარმოადგენენ.

სტალინურ არქიტექტურაში მედავნდება პირველყოფილი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი დიფუზორულობა და არადიფურენცირებულობა საგანსა და ნიშანს, საგანსა და სიტყვას, საგანსა და სახელს შორის, საგანსა და ატრიბუტებს შორის, სივრცესა და დროს შორის. ის, რაც ერთი შეხედვით გამოიყერება როგორც მსგავსება, სტალინურ კულტურაში აღიქმება როგორც იგივეობა. კონკრეტული არქიტექტურული არტეფაქტები მათი კონკრეტულობის მიუხედავად წარმოადგენენ სრულიად სხვა მოვლენების ან სხვა საგნების ნიშნებს, მათ სიმბოლოებს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სოცრეალიზმის კულტურულ სისტემაში არქიტექტურა სამ ძირითად ექსტრაუტილიტარულ დანიშნულებას ასრულებს.

პირველ რიგში, ეს სივრცის დირექტულებითი რანგისა და საკრალურობის კარტოგრაფიის შექმნაა. სოცრეალიზმის მსოფლგანცდის თანახმად, სივრცე ჰქონდება კულტურული და იერარქიულია. იგი სრულიად საპირისპირო ნიუტონის პომოგნური, აბსოლუტური სივრცისა, რომელიც ყოველთვის უცვლელია და გამორიცხავს სრულყოფილებისა და პარმონის თვისებრივ ცნებებს<sup>8</sup>. სოცრეალიზმის სივრცეში ხარისხობრივ პარამეტრებს რაოდენობრივზე მეტი მნიშვნელობა გააჩნიათ. ხარისხობრივი პარამეტრები განსაზღვრავს, ერთი მხრივ, სივრცის ამა თუ იმ ნაწილის, ხოლო, მეორე მხრივ, სივრცეში ყოველი სხვულებრივად არსებულის დირექტულებით რანგს, საკრალურობის ხარისხს და იერარქიაში მათ მიერ დაკავებულ ადგილს. არსებითად ადგილი, ტოპოსი სოცრეალიზმის არქიტექტურის სული და გულია. იგი განსაზღვრავს შენობის ბიუჯეტს, გაბარიტებს, დეკორატიული მორთულობის ხარისხს და (შენობის უზნექციონალურ დანიშნულებასთან ერთად) მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმას, რასაც შეიძლება სოცრეალიზმის არქიტექტურული ორგანიზმების "ინდივიდუალურობა" ან "ინდივიდუალური ბუნება" ეწოდოს.

სოცრეალიზმში უმაღლესი დირექტულება გააჩნია და ყველაზე მეტადაა საკრალიზებული სივრცის ის ნაწილი, სადაც "სამყაროს ცენტრი" მდებარეობს. ეს მოსკოვის კრემლია. იგი სოცრეალიზმის მიერ საკუთარი მარკერით, ლენინის მაგნოლეუმითაა აღნიშნული. იერარქიის შემდეგ საფეხურზე ქალაქ მოსკოვის მიერ დაკავებული

ადგილი მდებარეობს. არ არის შემთხვევითი, რომ სოცრეალიზმის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანები არქიტექტურული ორგანიზმი სწორედ მოსკოვშია განლაგებული. გარდა აღნიშნული მავზოლეუმისა აქა მოსკოვის მეტროპოლიტენი, საბჭოების სასახლე (რომელიც მართალია რეალურად არ არსებობს, მაგრამ სოცრეალიზმის ადამიანებისათვის ისეთივე სტატუსი აქვს, როგორც რეალიზებულ პროექტებს<sup>9</sup>), მ. გორკის სახელობის შრომისა და დასვენების ცენტრალური პარკი (ცПКИО), შვიდი მაღლივი შენობა, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა (BCXB, შემდგომში ვДНХ) და ა. შ. 10. კრემლიდან დაშორების კვალდაკვალ, ქვეყნის საზღვრების მიმართულებით სივრცე და მასში განლაგებული არქიტექტურული ობიექტები მნიშვნელობას და საკრალურობას სულ უფრო და უფრო კარგავს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრში თუ პერიფერიაზე, სივრცის სტატუსი, მისი ღირებულება მეტონიმიურად არქიტექტურული არტეფაქტის იერსახითაა ჩანაცვლებული, რაც სივრცის ამა თუ იმ ნაწილის იერარქიაში ადგილმდებარების შესახებ მეტყველებს. ამ თვალსაზრისით სოცრეალიზმის არქიტექტურა შეიძლება შევადაროთ სამხედრო უნიფირმას, რომელიც მფლობელის სტატუსს ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად ასახავს და იძლევა ორიგნტირებს ქვევითი სტრატეგიის გამომუშავებისათვის.

\*\*\*

სოციალისტური რეალიზმის ტელეოლოგიური დოქტრინის მიხედვით,<sup>11</sup> სამყაროს სურათი უკავშირდება განსაზღვრულ ისტორიულ ფაქტებს და მათთან დაკავშირებულ სივრცელ სქემებს, რომელთაც პოზიტიური როლი აკისრიათ სოციალისტური აწმყოს შექმნასა და კომუნისტური მომავლის მშენებლობაში. საქმე ისაა, რომ მითოლოგიური ცნობიერებისათვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პრეცედენტით არის ჩანაცვლებული, საგნის წარმომავლობა მისი არსის ტოლფასია. ყველაფერი, რაც ახლა არსებობს პირველადი პრეცედენტის შედეგს წარმოადგენს.

ეს უკანასკნელი იდებს პარადიგმის მნიშვნელობას, რომელიც სანიმუშო მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესაც უკვე მოხდა. აქედან მომდინარეობს სოცრეალიზმის არქიტექტურის კიდევ ერთი დანიშნულება: ნათელი გახადოს ის, თუ რომელ ტრადიციას ეკუთვნის სოცრეალიზმის კულტურა. 1930-იან წლებში სამაგალიოთოდ მიიჩნევა ტრიადა "საბერძნებითი – რომი – რენესანსი", რომლის სივრცელი პარადიგმები სსრკ-ს მთელი ტერიტორიისთვის არის საგადლებულო და ნაციონალური სტილები, რომელთაც მხოლოდ დოკალური მნიშვნელობა გააჩნიათ. მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომი პერიოდის არქიტექტურული

არტეფაქტები კი გვიჩვენებს, რომ სოცრეალიზმის ადამიანი თავს უკვე შეალა კულტურისა და ტრადიციის შთამომავლად მიიჩნევს<sup>12</sup>.

\*\*\*

დაბოლოს, სოცრეალიზმის არქიტექტურის დანიშნულება კოსმოსის დებლირება. ამ მიზნით იგი მედიაციური კომპლექსის სახით გამოდის, როგორც ერთგვარი რეპლიკა ერთი მხრივ ადამიანთან (მიკროკოსმოსთან), ხოლო მეორე მხრივ ბუნებასთან (მაკროკოსმოსთან) მიმართუბაში. აქედანაა შენობათა გეგმებში, ინტერიერსა და ფასადებზე ციური სხეულების გამოსახულებები, მცენარეულ-ანიმალისტური თუ ანთროპომორფული მოტივები, ხოლო არქიტექტურის დისკურსიულ არსენალში ადამიანის სხეულის, კოსმოსისა და შენობის ნაწილებს შორის სიმბოლური გადაძახილები<sup>13</sup>. აქედანაა ასევე გამოკვეთოლი ე.წ. სასაზღვრო ზონები ანუ შენობის ის ნაწილები, რომლებიც მითოლოგიურ ცნობიერებაში ადამიანის გარე სამყაროსთან რეგლამენტირებულ კავშირებს ემსახურება<sup>14</sup>: სადარბაზოების, ეზოებისა და მეტროში შესახვლელების მაღალი თაღები, "კოლოსალური ორდერი" შენობათა ფასადებზე, კარ-ფანჯრების, სახურავების და შენობის მზიდი ნაწილების მორთულობა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული მოდელი 1930-1950 –იანი წლების საბჭოთა არქიტექტურის კანონიკურ ნაწარმოებებს ამათუ იმ სახით მაინც შეესაბამება, სოცრეალიზმის არქიტექტურის მოედ მრავალფეროვნებას, რასაკირველია, ვერ გადმოსცემს. იგი მისი მხოლოდ გამარტივებული და არასრულფასოვანი სურათია. მეტიც, რადგან სოცრეალიზმის არქიტექტურის ახლებური სურათის შექმნის ნებისმიერი მცდელობა რეალურად აწმოს კრიტიკას გულისხმობის, იგი მნიშვნელოვანწილად ისტორიული პერსპექტივით არის გაპირობებული. მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი, უკვე დღეს საუბრობს იმის შესახებ, რომ რუსეთის ისტორიის სტალინური პერიოდი არის არა წარსულში ჩავარდნის, რეგრესის ან მითოლოგიური ცნობიერების დაბრუნების შემთხვევა, არამედ გამომდინარეობს XIX საუკუნის ხელოვნების და კულტურის მრავალფეროვანი ტენდენციებიდან<sup>15</sup>, ორგანულად იწერება თავისი დროის ინტერნაციონალური კულტურის ფარგლებში<sup>16</sup> და წარმოადგენს ერთ-ერთი ფსიქიკური (კერძოდ მაზოხისტური) ტიპის მცდელობას იბატონოს სხვა ფსიქიკებზე<sup>17</sup>.

სოცრეალიზმის არქიტექტურის შესწავლას ისიც ართულებს, რომ მნიშვნელობები, რომლებსაც ადამიანი სოციალური და იდეოლოგიური მოღვაწეობის პროცესში არქიტექტურულ არტეფაქტებს ანიჭებს ადვილად ცვალებადი და ლა-

ტენტურია და პირდაპირ არასოდეს სახელდება. იმისათვის, რომ შევძლოთ მათი ექსპლიცირება და რაციონალური განმარტება საჭიროა მივმართოთ არა მხოლოდ არქიტექტურულ არტეფაქტებს, არამედ "მეორად" არქიტექტურულ წყაროებსაც ანუ არქიტექტურულ დისკურსს<sup>18</sup>. ამ აზრით 1930-1950-იან წლებში შექმნილი მრავალრიცხვანი სტატიები და მონოგრაფიები კლასიფიცირებული უნდა იქნას, როგორც ენა ობიექტი, რადგან სოცრეალიზმის არქიტექტურული თეორიები არ წარმოადგენს რეფლექსის სოცრეალიზმის არქიტექტურის მექანიზმებზე, არ ემსახურება მის მეტაალწერას და სხვა არაფერია თუ არა სოცრეალიზმის უბრალო მანიფესტაცია<sup>19</sup>.

კ კლარკი სტატიაში "სოცრეალიზმი და სივრცის საკრალიზაცია" აღნიშნავს, რომ სივრცის სეპარატიზაცია და შემდგომი საკრალიზაცია სოცრეალიზმის საერთო ნიშანია. იგი წარმოადგენს სტალინური კოსმოლოგიის საფუძველს და იმის მიზეზს, რომ ძალაუფლების განმასხვავებელი ნიშნები სივრცული და არქიტექტურული ლექსიკონით აღიჭურვა<sup>20</sup>.

კ კლარკი ასევე შენიშნავს, რომ საკრალური მხოლოდ ბელადის (ბელადების) სივრცეა და მასში შედწევა მხოლოდ გმირების ხვედრია. დადებითი გმირი და მისი დამრიგებელი ერთადერთა, ვისაც მოსკოვამდე მიღწევა შეუძლიათ. მათი დანიშნულებაა იყვნენ რიტუალური შუამაგლები საკრალურ და პროფანულ სივრცეებს შორის, რადგან მასების წარმომადგენელს არ შეუძლია გადაკვეთოს სივრცული საზღვრები. ამიტომ, როდესაც სტალინს უწევს ხალხთა მასებთან ურთიერთობა, იგი ტოვებს კრემლის საკრალურ სივრცეს და ხალხს მავზოლეუმის ტრიბუნიდან ესალმება.<sup>21</sup>

მაგრამ როგორც მშენებლობის თემაზე შექმნილი სოცრეალიზმის ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, ისე სოცრეალიზმის არქიტექტურული დისკურსი ცხადყოფს, რომ სივრცის ნებისმიერ წერტილში, უკიდურეს პერიფერიაზეც კი (იქ, სადაც კ. კლარკის მიხედვით საკრალურობა თავისი მინიმალურ ნიშნულს უტოლდება) ადამიანები საქმეს ისე ეკიდებიან, თითქოს მოქმედება "ცენტრში" ხდება. ისინი მშენებლობის პროცესში ერთმანეთისაგან არ ასხვავებენ "ცენტრს" და პერიფერიას. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფო დაწესებულებაა ეს, კულტურის სახლი თუ ტექნიკური ნაგებობა, ნებისმიერ შემთხვევაში მშენებლობა მათვის კომუნისტური სამყაროს აშენების იმიტაციას წარმოადგენს, ხოლო განსხვავება ხუროთმოძღვარსა და პოლიტიკოსს, ფუნდამენტსა და "სოციალიზმის ფუნდამენტს," ხარაჩოსა და "კომუნიზმის ხარაჩოს", შენებასა და "კომუნიზმის შენებას" შორის მათვის პრაქტიკულად

აღარ არსებობს.

აქ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელსაც მ. ელიადე ანალოგიურ სიტუაციაში "სამოთხის ნოსტალგიას" უწოდებს<sup>22</sup>. მართალია, საკრალური ცენტრის მიღწევა ჩვეულებრივი ადამიანისათვის პრაქტიკულად შეყმდებულია, მაგრამ, ამავე დროს, იგი ნებისმიერი მოკვდავისთვისაა სელმისაწვდომი. ნებისმიერ ადგილს სივრცის თვისებების პარადოქსული გარდაქმნის წყალობით შეუძლია საკრალური ცენტრის სტატუსი შეიძინოს. სოცრეალიზმში ასეთი პარადოქსული გარდაქმნის "მანქნას" მშენებლობა, ან უფრო სწორად, "სამშენებლო რიტუალები" წარმოადგენს. "სამშენებლო რიტუალები"

ბი" საზრისს სძენს არქიტექტურულ არტეფაქტს, ადუდაბებს სტალინური ეპოქის სოციუმს, უზრუნველყოფს არქიტექტურისა და სოცრეალიზმის კოსმოსის "სინქრონიზაციას" და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სოცრეალიზმის კოსმოლოგიურ სისტემაში არქიტექტურის ჩართვას. მეორე მხრივ, ეს მდგომარეობა სოცრეალიზმის არქიტექტურას ჰეგელის "სიმბოლურ არქიტექტურასთნ"<sup>23</sup> აახლოვებს, რომლის მიზანსაც მშენებლობაში ჩართული ადამიანების ერთიანობა წარმოადგენს. ამ აზრით არ არის შემთხვევითი, რომ სოცრეალიზმის არქიტექტურის ცენტრალური ნაგებობა, საბჭოების სასახლე არასოდეს აშენებულა.

### შენიშვნები:

1. ი. ვ. პაპერნი, კულტურა და, მოგ. 1996; მ. ელიადე, «ასპექტები მიფი», მოგ. 1995, გ. 182-183; «მიფი, სინათლი, მისტერია», მოგ. 1996, გ. 25; «სამართლებული მიტი და მიტური მიტი», მოგ. 1994, გ. 128; ი. ედელმანი, «ლეგენდები და მიფები სსრკის კულტურაში», ლოგის, №5, 1995, გ. 52-65; K. Clark, *The Soviet Novel: History as Ritual*, Chicago, 1981. და სხვ.
2. ვ. ს. თოპორი, ი რიტუალი. ვერცხლის კონსტრუქციის შესახებ ი. ვ. დ. ლომინაშვილი, ვ. შათორიშვილი, ტოტალიტარიზმის არქიტექტურა: სტალინური და ტოტალიტარული, ახალი პარადიგმები N 3, 1999, გვ. 63-75.
3. სოცრეალიზმის სპაციალური ორიენტაციის შესახებ ი. ვ. დ. ლომინაშვილი, ვ. შათორიშვილი, ტოტალიტარიზმის არქიტექტურა: სტალინური და ტოტალიტარული, ახალი პარადიგმები N 3, 1999, გვ. 63-75.
4. არქიტექტურის ცენტრალურ პოზიციას არაერთი ფაქტი ადასტურებს. მაგალითად: ა) საპროექტო და სამშენებლო პროცესებში უმაღლესი რანგის პოლიტიკური მოღვაწეების მონაწილეობა (ლეგენდების თანახმად, "კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი", ი. სტალინი დაინტერესებულია და მონაწილეობს მოსკოვის გენერალების, სასტუმრო "მოსკოვის", მოსკოვის მაღლივი შენობების, საბჭოების სასახლის და სხვა პროექტების განხორციელებაში. დ. კაგანოვის მოსკოვის მეტროპოლიტენის, ხოლო კ. მოლობოვი ცენტრალური არმიის თეატრის მშენებლობას ხელმძღვანელობენ. მეორე მხრივ, არქიტექტორებიც პოლიტიკისაკენ მიისწოდებიან - ვ. ვესნინს და კ. ალაძიანს სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში ირჩევენ, ა. შჩუსეევს, ი. უოლტონსკის, ნ. კოლის - "მოსსოვეტში"; ბ) სოცრეალიზმის განმსაზღვრელი 1930-იანი წლების არქიტექტურული სქემების და ტროპების პარტიული რიტორიკის ძირითად წყაროდ გადაქცევა (ი. ვ. კლარკ, *Соцреализм и сакрализация пространства*, «Соцреалистический канон», С-Пб., 2000, გ. 120); გ) 1930-იანი წლების სოცრეალიზმის ლიტერატურა (ი. ვ. მანაინა, *Дискурс времени в соцреализме*, «Соцреалистический канон», С-Пб., 2000, გ. 587.) და ა. შ.
5. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოცრეალიზმის არქიტექტურის პირველ ნიმუშად 1934 წელს, ამჟამინდელი მანერის მოედანზე აგებული საცხოვრებელი სახლი (არქიტექტორი ი. უოლტონსკი) მიიჩნევა, მაშინ 1918 წლის ტრიბუნა სოცრეალიზმის არქიტექტურის ანტიციპაციას წარმოადგენს.
6. ი. ესაულოვ, სოცреализм и религиозное сознание, «Соцреалистический канон», С-Пб., 2000, გ. 53.
7. მ. ელიადე, «Азиатская алхимия», მოგ. 1998, გ. 87-95;
8. ა. კოირე, «Очерки истории философской мысли», მოგ. 1984, გ. 130-131.
9. ნ. ი. მოლოკ, «Мегаломания московской архитектуры», Лотмановский сборник 2, მოგ. 1997, გ. 776.
10. სივრცული იერარქიის შესახებ ი. ა. ამან, *Architecture and Ideology in Eastern Europe during Stalin Era*, New York, MIT Press, 1992, გ. 243; ვ. პაპერნი, კულტურა და, მოგ. 1996, გ. 100-143.
11. სოცრეალიზმის ტეორეტიკოსის შესახებ ი. ა. აბრა ტერც, «Что такое социалистический реализм», О значении литературы русской, С-Пб., 2000, გ. 126-192.
12. ვ. პაპერნი, კულტურა და, მოგ. 1996, გ. 49.

13. მაგალითად: «Наша архитектура хорошо делает голову и очень плохо делает ноги» (Цирес, Академия архитектуры, №3, 1936, с.81.); «Парфенон рано утром просыпается вместе с солнцем, живет и меняется в течении дня и засыпает с наступлением ночи» (К.С.Алабян, Против формализма, упрощенчества, эклектизма, Архитектура СССР, №4, 1936, с.2.).
14. Т.В.Цивьян, «Дом в фольклорной модели мира (на материале балканских загадок)», ТЭС, Тарту, 1978, с.68.
15. Б.Кагарлицкий, «СССР: модернизация и освобождение», ХЖ, №36, с.11-15.
16. Б.Грайс, «Россия и проект модерна», ХЖ, №36, с.30.
17. И.Смирнов, Психоистория русской литературы от романтизма до наших дней, Москва, 1994.
18. არქიტექტურულ დისკურსში ჩვენ ვგულისხმობთ სამეტყველო პრაქტიკების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს არქიტექტურასა და მშენებლობასთან დაკავშირებულ პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ, ტექნიკურ და იდეოლოგიზირებულ ენებს.
19. Б.Грайс, Стиль Сталин, Утопия и обман, Москва, 1993, с. 13-14.
20. К.Кларк - დასახ. ნაშრ., გვ. 127.
21. К.Кларк - დასახ. ნაშრ., გვ. 126.
22. М.Элиаде, Очерки сравнительного религиоведения, Москва, 1999, с.349.
23. Г.В.Ф.Гегель, Эстетика, т. 3, Москва, с.33.

**Levan Lominashvili**

*Tbilisi State Technical University*

#### ARCHITECTURE IN THE COSMOLOGICAL MODEL OF THE SOC-REALIZM

The ideology, the art, the artistic means of the Soc-Realizm are penetrated with mythology. Mythology defines not only the stylistic level of the Soc-Realizm, but also the whole macro- and microstructure of the global cultural text. The objective of the Soc-Realistic architecture is to double the reality. It appears as a mediating complex, as a kind of replica in relation to the human being (microcosm), on the one hand, and to the nature (macrocosm), on the other.